

ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ჩატარების წესი (რეგლამენტი)

1. ფაკულტეტის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავისი წევრების უფლებამოსილებას.
5. ახლადარჩეული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ საბჭოში ახლადარჩეული წარმომადგენლების უფლებამოსილების ცნობა ხდება საბჭოს უახლოეს სხდომაზე.
6. დეკანის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს მოწვევის უფლება აქვს საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ს ან დეკანის მოადგილეს.
7. საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს, საბჭოს თავმჯდომარეობს საბჭოს დეკანის მოადგილე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში დამსწრე უხუცესი წევრი.
8. საბჭო უფლებამოსილია, დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით დანიშნოს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
9. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დეკანის მოადგილე.
10. საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.
11. საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი ეცნობება სხდომის თავმჯდომარეს წერილობით.

საბჭოს წევრები სხდომაზე ცხადდებიან სპეციალური მოწვევის გარეშე. საბჭოს მუშაობის პერიოდში საბჭოს წევრს უფლება აქვს დადგინდეს წესით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც საბჭოს განხილვის საგანია, გამოთქვას თავისი აზრი, დასვას შეკითხვები, ისარგებლოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ფაკულტეტის დებულებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.

12. სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით საბჭო უფლებამოსილია, საბჭოს წევრთა მონაწილეობით შექმნას ფაკულტეტის მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები, მათ შორის ფაკულტეტის საგამომცემლო საქმის დარგობრივი კომისია (კომისიები), ფაკულტეტის საარჩევნო და ხმის დამთვლელი კომისიები აგრეთვე სამუშაო ჯგუფები. შესაძლებელია კომისიები და სამუშაო ჯგუფები შეიქმნას ფაკულტეტის სხვა თანამშრომლების, საბჭოს მიერ მოწვეული სპეციალისტების, ექსპერტების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.
13. სხდომის გახსნისა და გადაწყვეტილებების მიღების წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია საბჭოს მდივანთან (რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს).
14. საბჭოს მდივანი დეკანთან შეთანხმებით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომისა), ადგენს სხდომის დღის წესრიგს. დღის წესრიგს მიკუთვნებულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი პირი.
15. საბჭო უფლებამოსილია სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ღია კენჭისყრით ან კენჭისყრის სხვა ფორმით, დამსწრეთა უმრავლესობით.
16. საბჭო უფლებამოსილია შეუწყვიტოს წევრობის სტატუსი სტუდენტური თვითმართველობის წევრს, სუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ან საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მომენტიდან.
17. საბჭო უფლებამოსილია დადგინდეს ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.
18. საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომლის რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება. ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება ფაკულტეტის ბეჭედი.